ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

№ 840 ხუთშაბათი, 8 მარტი 1913 წ. № 840

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე №№ ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიური
საპოლიტიკო
და
სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც
გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება
(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.
2) **ქართველი ერის ისტორია,** პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **„სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში,** (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,**
3) **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

ქართული თეატრი
ტელეფ. № 795.

ქართველ მსახიობთა ამხანაგობა

კვირას, 10 მარტს, ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში,

წარმოდგ. იქნება შექსპირის ცნობილი პიესა **ოტელლო** — **ვენეციელი მავრი** — ტრაგ. 5 მოქ. ივ. მაჩაბლის თარგ.

✦ განახლებული დეკორაციები და ტანსაცმელები ✦

მონაწილეობას იღებენ ყველა ამხანაგები. დასაწყისი საღამო 8 ს.

რეჟისორი ვალ. გუნია. მორიგი ამხანაგი **ვ. აბაშიძე.**

ამხანაგობა დაბეჯითებით სთხოვს წარმოდგენის დამსწრეთ, წეს-რიგი დაიცვან და უსათუოდ ბილეთებზე აღნიშნულ ადგილზე დასხდნენ ხოლმე. 1094

№ 25. **ტფილისის სახაზინო თეატრი** № 25.

ხუთშაბათს, 14 მარტს,

ზუბალაშვილების სახ. სახ. სახლთან არსებ. ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ

თავის საშუალებათა გასაძლიერებლად

დამსახურ. მსახიობ. **ქ-ნ ეფ. მესხისა და ბ. კ. ყიფიანის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება ისტორიული დრამა ლეგენდა **ლალატი** 5 მოქ. თავ. სუმბათაშვილისა. თარგმ. გრ. ყიფშიძესი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ანკარა, ნ. ბადრიძე, **ნ. გამრეკელი-ტორელი,** მარგ. გოდოლაშვილი, გოდერძი, ბ. კორინთელი ა. კახელი, ეფ. მესხი, პიერეტტა, ტანელი, ყანჩაველი, ყოჩიშვილი, თ. ყიფშიძე, ელ. ციმაკურიძე. ბ-ნნი: გ. ანაშვილი, არშაკუნი, ნ. გოცირიძე, ზელიკურაშვილი, ილ. ზურაბიშვილი, ს. თავდიშვილი, ამბ. ივერელი, ა. კავსაძე, კავაძე, ალ. მეტრეველი, ვ. მინდიაშვილი, ვ. ნინიძე, ს. რომანიშვილი, სტურუა, რ. სალაყაია, ლ. სამადაშვილი, ყარსიმაშვილი, გ. ფრონისპირელი, კ. ყიფიანი, ალ. შანშიევი, მ. ქიაურელი, ქუმბურელი, ნ. ქანკვატაძე, კ. ხახანაშვილი, გ. ჯაბაური და **აგრეთვე თანამშრომელთა გაძლიერებული ჯგუფი.**

ადგილების ფასი 20 კ. 3 მანეთამდე. **დასაწყ. საღ. 8 ს.**

1034 რეჟისორი **ალ. წუწუნავა** თანაშემწე **ნ. ქანკვატაძე.** „წრის“ ადმინ.

ახალი კლუბი

შაბათს, 9 მარტს,

საოჯახო საღამო
დირიჟორ ს. ი. პრესმანის საბენეფისოდ
თეატრში

შესდგება სიმფონიური კრება

ანატოლ მიკულის მონაწილეობით.

დაწვრილებით პროგრამებში. 1092

შაბათს, 9 მარტს, თავად-აზნ. საკრებულოს დარბაზში
(ბელინსკის ქუჩა, სახლი № 2)

მოხდება ჩვეულებრივი კრება
ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების წევრთა.

საზოგადოების წევრი ბ-ნი **დავით კასრაძე** წაიკითხავს მოხსენებას: **„მშვენიერება ხელოვნებაში“.** 1012

დილის 9—10 ს. ღარიბები'ს მიღება უფასოა.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა. იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინით,** **რადიის** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოდნაია** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. **ტელეფ.** კუთხე). 97

ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს ბ-ნთ წევრებს, რომ მეორე

საზოგადო წლიური კრების

გაგრძელება დანიშნულია ამა წლის **10 მარტს, კვირას,** შუადღის 12 ს.

განსახილველი საგნები:

1) წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა არჩევა.
2) არჩევა ორი მამასახლისის მოადგილესი. 1092

— ავლაბრის თეატრი მეზუროვისა —
(ყოფილი არაქსიანისა).

კვირას, 10 მარტს, ხარფუხ. ქართ. სახ. წარმოდგ. მმართ. წრის მიერ ქ-ნ **ნ. დავითაშვილისა** და **ვასო აბაშიძის** მონაწილეობით

= რეჟისორის ს. პეპანოვის საბენეფისოდ =

წარმოდგ. იქნება **უდანაშაულოდ დასჯილნი**

კომედ. 4 მოქ. ოსტროვსკისა, თარგ. მაჭავარიანისა.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი **დავითაშვილისა,** მეხუსლასი, ზარდალიშვილისა, კავთელი, ქუძა; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გორდაძე, მეხუზლა, მაისურაძე, ფირუმიანი, პეპანოვი, შათირიშვილი და სხვა. ✦ **დასაწყ. საღ. 8 ს.** ბილეთ. იყიდება თეატრის კასაში საღ. 5—7 ს. მორიგი გამგ. წევრი **ა. შათირიშვილი.** ადმინ წრისა. რეჟი. **ს. პეპანოვი.** 114

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის

გამგეობა

აუწყებს წევრებს, რომ ხუთშაბათს 14 მარტს 1913 წ., საღამოს 7 საათზე ავლაბრის სახალხო თეატრის დარბაზში დანიშნულია

საგანგებო კრება

გადასაწყვეტად შემდეგ განსახილველ საგნებისა:

1. საზაფხულო სეზონისათვის დასის მოწყობა.
2. თეატრის შეკეთება და გალამაზება.
3. საზაფხულო ბაღის გაშენება.

კრებაზე დასწრება შეუძლიან მხოლოდ წრის სრულ-უფლებიან წევრებს. 1029.

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ **ცნობილი**

პასხალიდის აბრეშუმის თესლი

ჩვეულებისამებრ **იყიდება მ. გ. რუსიძის კანტორაში**
ბათუმში, მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.

სამუდამო და შეურყეველი გადაწყვეტილება: თესლს რაც უფრო ადრე დაიბარებენ მყიდველები, იმდენ და უფრო იაფად შეიძენენ, რაც გვიან, იმდენად ფასი მატულობს. **პასხალიდის თესლის მუდმივ მყიდველებს კანტორა** ამით მოაგონებს, რომ თესლი დროიანად დაიკვეთონ, ვინაიდან, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ბალკანეთის ომის გამო, წელს თესლების გამოსატანელი გზა დაკეტილია (მხოლოდ მცირედენმა გამოასწრო გზის დაკეტვას), რის გამოც მოსალოდნელია, ბევრი მეაბრეშუმე დარჩეს უთესლოთ.

ტფილისისა, ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების ერთად-ერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლისა **მ. გ. რუსიძე.** 1079

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მშობიარე, ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა [illegible] სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12 **თოკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულბკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**ბედევგანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყელ. ყურ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი სამსახურით. წ. 1035

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. ბედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღება** რენტგენის სხივებით, ვერა, კოროლენკოს ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავად. მყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩ. № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ. ქ., № 94,** კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე. შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.
ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“ 1053

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებათა** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 5 საათ.—7½ საათ. [illegible] ქ. № [illegible]

ექიმი კბილისა ნინო ოცხილაძე
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი ძაქარაშვილისა

ტფილისი, 8 მარტი

სახელმწიფო სათათბირო და ვოსტორგოვის კურსები.

სახელმწიფო სათათბიროს ბევრჯელა ჰქონია საინტერესო დღეები. მუდამ ქედს მორჩილ ოქტომბრისტებსაც კი გაუბედიათ და მთავრობის წარმომადგენელთა რეაქციონურ პოლიტიკის დასახასიათებლად ბევრი ლამაზი სიტყვა დაუხარჯავთ. ოპოზიციაზე ხომ მეტია ლაპარაკი. მაგრამ, როდესაც საჭირო გამხდარა სიტყვის საქმედ ქცევა, ოქტომბრისტებს უკან დაუხევიათ და თავიანთი ვოტუმით დაუდასტურებიათ მთავრობის რეაქციონური პოლიტიკა. სწორედ ასეთმა ორპირობამ დაუკარგა დამოუკიდებლობის სახე სახელმწიფო სათათბიროს. როდესაც ყოველ-დღიურ ცხოვრების მატიანე საკანონმდებლო დაწესებულების ასეთს დღეებს იგონებს, ძალაუნებურად ყოველი ახალი ნაბიჯი, ახალ სულიერ განწყობილების მომასწავებელი, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ჩვენ ვოსტორგოვის კურსების ბედ-იღბალზე მოგახსენებთ.

ამ რამდენიმე დღის წინად სახელმწიფო სათათბირომ განიხილა უწმ. სინოდის მიერ შეტანილი კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ ვოსტორგოვის კურსების მსმენელებს საგზაოდ მიეცეს 108 ათასი მანეთი. სახელმწიფო სათათბირომ ამ შემთხვევით ისარგებლა და საზოგადოდ კურსებს შეეხო. აღმოჩნდა, რომ წინააღმდეგ კანონისა, 1911 და 1912 წელს ამ კურსების შესანახად ფულს იმ თანხებიდანა ხარჯავდნენ, საიდანაც არ უნდა დაეხარჯათ. უწმ. სინოდის ობერ-პროკურორმა საბლერმა განმარტა, ჩვენ მხოლოდ ვისესხეთ ეს ფული, ეს კი კანონის დარღვევა არ არისო. შეძლების დაგვარად ჩვენა ვცდილობთ კანონიერება დავიცვათო. სათათბირო ამ განმარტებით არ დაკმაყოფილდა, უწყების მოქმედება უკანონოდ იცნო და გაწეულ ხარჯების დასაფარად ფული არ გაიღო.

გზა და გზა ოპოზიციამ ისიც გამოარკვია, თუ რა ღირსებისაა ვოსტორგოვის კურსები.

ამ რიგად, სათათბირომ და განსაკუთრებით კი მისმა მორჩილმა ცენტრმა ცოტაოდენი მოქალაქეობრივი გამბედაობა გამოიჩინა, რომ მთავრობის წარმომადგენელს საქმით დაუმტკიცა, რომ მისი მოქმედება არ მოსწონს.

თავის-თავად ეს კანონ-პროექტი დიდს არაფერს წარმოადგენს. იგი ისეთივე ჩვეულებრივი, წვრილმანი კანონ-პროექტია, რანაირიც ბევრი შეაქვს მთავრობას სათათბიროში. მიუხედავად ამისა, მემარჯვენეებმა და განსაკუთრებით კი მათმა სულის ჩამდგმელმა პურიშკევიჩმა ისტერიული ყვირილი ასტეხეს და მუქარასაც კი მიმართეს—თუ ეს კანონ-პროექტი არ მიიღეთ, სათათბიროს დაითხოვენო. რა თქმა უნდა, გაზვიადებული მუქარა იყო. მაგრამ მემარჯვენეებმა რომ შედარებით უმნიშვნელო კანონ-პროექტი ასე გააზვიადეს, ფრიად დამახასიათებელია.

სათათბიროს ცენტრმა ძლიერ გაბედა და სრულიად უმნიშვნელო კანონ-პროექტის განხილვის დროს ცოტაოდენი დამოუკიდებლობა გამოიჩინა, მთავრობას არ დაეთანხმა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფულიც კი არ გაიღო უკანონოდ გაწეულ ხარჯების დასაფარავად. ამ დამოუკიდებლობის გამოჩენა საკმარისი გახდა, რომ პურიშკევიჩს ყვირილი დაეწყო და ვოსტორგოვის კურსების საკითხი ისეთს საკითხად გამოეცხადებინა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომელსაც შეუძლიან სათათბიროს დათხოვნა გამოიწვიოს.

ცენტრს ამ მუქარისა არ შეეშინდა და ოპოზიციასთან ერთად კანონ-პროექტი უარჰყო. რასა ნიშნავს ეს? შეგვიძლიან თუ არა ვიფიქროთ, რომ ცენტრი და ოქტომბრისტები ახალ გზას დაადგნენ? მათი წარსული რომ თვალწინ გვიდგას, ამისი იმედი არ უნდა გვქონდეს. იქ, სადაც საჭირო იქნება დამოუკიდებლობა, ოქტომბრისტები ისევ თავის ქერქში ჩაძვრებიან და თავიანთ ნამდვილ სახეს დაგვანახვებენ.

სახელმწიფო სათათბირო
(დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო)
6 მარტის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს.

თავმჯდომარემ აუწყა სათათბიროს სამწუხარო ამბავი, საბერძნეთის მეფის მოკვლისა და წინადადება მისცა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულის ხსოვნისათვის. ყველანი ადგნენ. თავმჯდომარის წინადადებით სათათბირომ დაავალა პრეზიდიუმს, სათათბიროს სახელით სამძიმრის დეპეშა გაუგზავნოს ხელმწიფე იმპერატორს, მოკლულ მეფის ოჯახს, დედოფალ მარიამ თეოდორეს ასულს; ამ გვარივე დეპეშა გაეგზავნება საბერძნეთის დეპუტატთა პალატას; საბერძნეთის ელჩის სათათბიროს პრეზიდიუმი გამოუცხადებს სამძიმარს მეფის მოკვლის გამო, მის ოჯახის გადასაცემად; გადახდილი იქნება პანაშვიდიც განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

სათათბირომ მიიღო წინადადება, სტაროობრიადცების საკითხის განსახილველად ცალკე კომისია დაარსდესო. ამის წინააღმდეგ ილაპარაკა **მღ. მიტროვიცკიმ.**

სათათბირო იხილავს განცხადებას

მთავრობისადმი მიმართვის თაობაზე, შესახებ 1912 წლის მოუსავლობისა.

გლადიში ემყარება რა საგუბერნიო ერობების მასალას, წინადადებას აძლევს სათათბიროს, განუცხადოს მთავრობას, რომ მან დაუბრუნოს ერობებს და საზოგადოებას დახმარების აღმოჩენის საქმეში ჩამორთმეული უფლებანი.

დობროვოლსკი აღნიშნავს სარატოვის გუბერნიის მცხოვრებთა აუტანელ პირობებს, რაც გამოწვეულია ხშირის მოუსავლობით. მისის აზრით, საკმარისი არ არის ამ საქმეში საზოგადოების მუშაობა. საჭიროა საქველმოქმედო დახმარებას მივმართოთო.

ლაპარაკობენ **მარკოვი** და **რისევი.**

შრომის ჯგუფი წინადადებას აძლევს მთავრობას, დაუყონებლივ შეუდგეს დაზარალებულ მცხოვრებთა დახმარებისთვის საჭირო ზომების მიღებას.

ვიშნევსკი. პირველი ვეგებები სიამოვნებით ამ საკითხის აღძვრას, მხოლოდ უნდა ვსთქვა, რომ 1912 წლის მოუსავლობა არავითარ საშინელებას არ წარმოადგენსო. რურუსეთის პრესას უყვარს განგაშის ატეხა, როგორც 1912 წლის ამბის გამო, ეხლა კი სდუმს.

კინლაკოვი უარჰყოფს ვიშნევსკის განაცხადებს, და ამბობს, რომ სარატოვის გუბერნიაში პრესა აღნიშნავდა მცხოვრებთა გაჭირვებულ მდგომარეობას. მოლაპარაკეს საჭიროდ მიაჩნია დახმარება აღმოუჩინონ ატკარის და ბალაშევის მაზრის მცხოვრებთ, რომელთა უმწეო მდგომარეობაც აქამდე გამორკვეული არ იყო.

მელგუნოვი წინადადებას აძლევს, დაუმატონ საკითხი, რა მდგომარეობაში იმყოფება სანოვაგის ახალ წესდების შემუშავება, რადგანაც არსებულ წესდების ძირითადი დებულებანი ჯერ კიდევ 1838 წლის იყო შემუშავებული.

მარკოვი მეორე. ამაოდ აწერთ პრესას სერიოზულ მნიშვნელობას, რადგანაც იგი სინამდვილეს ამახინჯებსო. უწყებაზე მარტო საკითხების სათაურებია აღნუსხული და არა მათი გადაწყვეტა.

თავმჯდომარე ორჯერ აჩერებს მოლაპარაკეს და წინადადებას აძლევს საკითხზე ილაპარაკოს.

მარკოვი მეორე სათათბიროს ყურადღებას აქცევს იმაზე, რომ თითქმის ყოველ წლივ ერთგვარი საჩივარი მოდის აღმოსავლეთ გუბერნიებიდან, რომელნიც მოუსავლობას განიცდიან. ყოველ წლივ ხელს იშვერენ დახმარებისათვის. საჭიროა დახმარება, მაგრამ საჭიროა ისიც გვახსოვდეს, რომ ხაზინა იგივე ხალხია. დახმარების აღმოსაჩენად უნდა დასავლეთ და შუაგულ გუბერნიების მცხოვრებთ გამოვართვათ, რომელთაც მიწა ნაკლებათა აქვთ მაგრამ მეტ ნაყოფს იღებენო. ისინი დახმარებას არ ითხოვენო. მარკოვი ურჩევს შეასწავლონ სარატოვის გუბერნიის მცხოვრებთ ნაყოფიერი შრომა, იზრუნონ სამეურნეო კულტურის ასაყვავებლადო (ტაში მარჯვნივ).

სათათბირომ ერთხმად მიიღო მიმართვა, მანკოვის და მელგუნოვის დამატებით, და ვიშნევსკის სურვილით.

უკამათოდ მიიღეს ხუთი კანონ-პროექტი.

კითხულობენ კომისიის მოხსენებას, სამასწავლებლო ინსტიტუტთა რეფორმების საკანონმდებლო მოსაზრების თაობაზე.

სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი **შევიაკოვი.** მთავრობას სასურველად მიაჩნია სამასწავლებლო ინსტიტუტების რეფორმა; სამინისტროს მოხელეთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება მთავრობას უუსაჭიროესად მიაჩნია. ახალი შტატები მინისტრთა საბჭოში უკვე შედის საბოლოო გადასაწყვეტად; რაც შეეხება სასტატო ინსტიტუტების დებულებათა შეცვლის პროექტს, მთავრობა ვერ იკისრებს კანონ-პროექტის შემუშავებას, რადგანაც სათათბიროს 70 წევრის მოსაზრების ძირითადი დებულებანი მიზნის შეუსაფერად მიაჩნია.

კლიუჟევი წინადადებას იძლევა, მოსაზრება სახალხო განათლების კომისიას გადასცეს კანონ-პროექტის შესამუშავებლად.

სათათბირომ კლიუჟევის წინადადება სასურველად სცნო და კომისიას გადასცა.

ლადომირსკი კითხულობს მერვე განყოფილების მოხსენებას ვარშავის არა-რუსთა არჩევნების შემოწმების თაობაზე. განყოფილებას არჩევნების წარმოება საარჩევნო სიების შედგენის დროს უკანონოდ მიაჩნია და წინადადებას იძლევა დაარღვიოს სათათბირომ იაგელოს არჩევა.

იარონსკი. კოლოს არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ეხლავე გადასწყდეს ვარშავის არჩევნების სისწორე, და შემდეგ განყოფილებებმა განიხილოს პოლონეთის გუბერნიების არჩევნების წარმოება იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად იმოქმედა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციის შეცვლამ არჩევნების შედეგზე. განყოფილებანი გაარკვევენ აგრეთვე იმასაც, თუ რომელი არჩევნებია ღირსი დარღვევისა.

ბურიანოვი. სოციალ-დემოკრატებს ინსტრუქციის შეცვლა უკანონოდ მიაჩნიათ, მაგრამ ის ვერ გაუგიათ თუ კოლომ, რომელსაც ესე ძალიან ჰსურს იაგელოს განდევნა სათათბიროდან, არაფერი უთქვამს იმ უკანონობაზე, რომელიც მთელ პოლონეთის არჩევნებში არის შემჩნეული. ბოლოს იერიში მიაქვს პოლონეთის მუშათა ერთად-ერთ წარმომადგენელზე, იგი თვალთმაქცობის ნიღაბს იკეთებს, ვითომც და მუშათა ინტერესების გულისთვის იცავენ პოლონეთის უფლებებსო. სოც.-დემოკრატები მუშათა წარმომადგენლის გამოსარიცხავად ხმას არ მისცემენ, რათა მისცენ პოლონეთის ბურჟუაზიას და ერთხელ კიდევ სცადონ ბედი საარჩევნო კამპანიაში (ტაში მარცხნივ).

ბომაში პირველსა და მეორე სათათბიროს არჩევნებზე ლაპარაკობს; პოლონელებმა ერთი მანდატიც არ დაუთმეს ებრაელებს მეოთხე სათათბიროში, როდესაც 80 ამომრჩევლიდან 46 ებრაელი იყო. ებრაელებმა მიჰმართეს საარჩევნო კომიტეტს თხოვნით, ისეთი კანდიდატი წამოეყენებინა, რომელსაც ებრაელები მისცემდნენ ხმას ძალაუნებურად მაინც. პოლონელებმა მოითხოვეს, რომ ებრაელებს მიეცათ ხმა იმ კანდიდატისათვის, ვის დროშაზედაც აწერია ებრაელთა უფლების შეზღუდვა, მათ ვაჭრობაზე ბოიკოტის გამოცხადება და სხვა. ამის გამო ებრაელებმა მხარი დაუჭირეს მშრომელ კლასის წარმომადგენელს, რომლის დროშაზედაც დაწერილია ყველა ხალხის თანასწორობა და სიყვარული. მოლაპარაკე წინადადებას იძლევა იაგელოს გამორიცხვის წინააღმდეგ მისცენ ხმა.

მალინოვსკი. პოლონელები აღშფოთებულნი არიან მთავრობის მოქმედებით და მის ნაციონალური პოლიტიკით. ამავე დროს კი ამ პოლიტიკას თვითვე აწარმოებენ პოლონეთშიო. სოციალ-დემოკრ. აქაც თანდათანობას იცავენ; მათთვის არ არსებობს პოლონელი, რუსი, ებრაელი, და ამისათვის დაადგინეს, მისცენ ხმა მთელ პოლონეთის არჩევნების დარღვევას.

ნეკრასოვი. იცავს კ.-დ. წინადადებას, გადასდონ იაგელოს არჩევნების კანონიერების განხილვა, ვიდრე არ წარმოადგენენ ხელმეორე განხილვას მთელ პოლონეთის არჩევნების წარმოებისას.

იარონსკი. ქალაქის გმინების და მემამულეთა ამომრჩევლების ძალთა განწყობილება პოლონეთის გუბერნიებში სხვა გვარი იყო, ვიდრე ვარშავაში.

კენჭის ყრის მოტივებზე, **ნეკრასოვმა** განაცხადა, რომ კადეტები არჩევნების წარმოებას უკანონოდ სცნობენ, მაგრამ მის დარღვევას მხარს არ დაუჭერენო.

მალინოვსკი. მეორე საკითხში სოც.-დემ. მისცემენ ხმას არჩევნების კანონიერების წინააღმდეგ.

თავმჯდომარე აჩერებს მალინოვსკის და განმარტავს, რომ მეორე საკითხის კენჭის ყრა ფარულად მოხდებაო.

სათათბიროს უმრავლესობამ იაგელოს არჩევნები უკანონოდა სცნო, ფარული კენჭის ყრის დროს კი 217 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 143, სათათბირომ იაგელოს არჩევნების გაბათილება უარჰყო.

სათათბიროში შეიტანეს წინადადება, აცნობონ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვარშავის არჩევნების უკანონობა. სათათბირომ წინადადება მიიღო.

განაგრძობენ წინა სხდომაზე შეტანილ სწრაფ შეკითხვის განხილვას კსენძი მილაშევსკის და მემამულე შალევიჩის ადმინისტრატიულის წესით დაპატიმრების თაობაზე.

მღ. ოკოლოვიჩი ამტკიცებს, რომ მილოშევსკი კათოლიციზმის ფანატიკოსი მქადაგებელია და რუსების მოძულეო. მინის გუბერნატორმა ყურადღება მიაქცია ამას და კანონიერადაც მოიქცა. შალევიჩი ერთგული მსახური იყო ფანატიკოს ქსენძებისა, მართლმადიდებელ მუშებს ძალად გაპოლონებას სცდილობდა. პოლონელები ავიწროვებენ ლიტველებს, ლატიშებს, მარიავიტებს, ბოიკოტს უცხადებენ ებრაელებს. დროა ამას ბოლო მოეღოს. მღ. ოკოლოვიჩი წინადადებას იძლევა უარჰყოს სათათბირომ არა მარტო სწრაფი განხილვა, არამედ თვით შეკითხვაცო.

ექსენძი მაციევიჩი უპასუხებს მღ. სოკოლოვიჩს. მართლმადიდებელ მღვდელთა ჩარევა კათოლიკე მრევლთა მშვიდობიან ცხოვრებაში არანორმალურია, გაბედული სიტყვა კათოლიკე მღვდლისა ამის წინააღმდეგ იწვევს რეპრესიებსო მინის გუბერნიაში. მართლმადიდებელი მღვდელი 900, კათოლიკე კი 50. ამ მდგომარეობაში დასაჯერებელიც არ არის რომ ის საშინელებანი, რომელიც აქ მოგვითხრო მღ. ოკოლოვიჩმა, დაუსჯელად ჩაეტარებინათ. სასამართლოს ქრონიკიდან ვიცით, რომ ქსენძებს სჯიან არა სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედებისთვის, არამედ ფორმალისტობის შეუსრულებლობის გულისთვისო. უკანონობის ფაქტები ცხადია, შეკითხვის სწრაფი განხილვაა საჭიროო.

ზამისლოვსკი სწრაფი განხილვის წინააღმდეგია.

სათათბირომ ხმის უმრავლესობით მიიღო შეკითხვის სწრაფი განხილვა. შეკითხვის არსებითი განხილვა შემდეგი სხდომისთვის გადიდო.

შემდეგი სხდომა 8 მარტს.

სახელმწიფო საბჭო

(დეპეშათა პეტერ. სააგენტო)
6 მარტის სხდომა.

აკიმოვი თავმჯდომარეობს.

საბჭომ საბერძნეთის მოკლულ მეფის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა. საბჭომ დაადგინა სამძიმრის დეპეშა გაუგზავნოს დედოფალს მარიამ თეოდორეს ასულს, საბერძნეთის მეფეს კონსტანტინეს და ქვრივ დედოფალს.

უკამათოდ მიიღო სათათბიროს რედაქციით პოლონეთის გუბერნიებში სამაიორატო მამულების იჯარით გაცემის კანონ-პროექტი.

საბჭო შეუდგა 32 წევრის მიერ ხელმოწერილ მიმართვის განხილვას, სახალხო განათლების მინისტრისადმი, ტულუპოვის და შესტაკოვის რუსულ ენის „ნოვის“ სახელმძღვანელოს ხმარების ნებართვაზე პირველდაწყებითი სასწავლებლებში.

ანდრეევსკი. კირსანოვის საეროობო კრებამ ტულუპოვის და შესტაკოვის სახელმძღვანელო პირველდაწყებითი სასწავლებლებში გასდევნა, სახელმძღვანელო სამინისტროს მიერ იყო ნება დართული. მართლაც, სახელმძღვანელო სრულიად არ შეეფერება პირველ დაწყებით სასწავლებლებს. რუსეთის დიდებული ისტორიული მოვლენანი განზრახ დამახინჯებულია, რუსეთის ისტორიის ბრწყინვალე მხარეებზე არაფერია ნათქვამი. იგი სცდილობს ბავშვებში გამოიწვიოს უარყოფითი შეხედულება მეომარ გმირობაზე და მამაცობაზე; ორატორის აზრით სახელმძღვანელოების შედგენა და სკოლებისთვის წიგნების მოწოდება მთავრობის მონოპოლიას უნდა შეადგენდესო. შეკითხველები წინადადებას აძლევენ საბჭოს მიჰმართოს შეკითხვით მინისტრს: რომ აიძულოს სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტი პირველ დაწყებითი სასწავლებლებში სახმარებლად შეეტანათ სახელმძღვანელო „ნოვი“ და აპირებს თუ არა მინისტრი ზომების მიღებას, რათა დაარღვიოს სამეცნიერო კომიტეტის განკარგულება, რომ მეორედ აღარ განმეორდეს ამგვარი განკარგულებანი.

ბაგალეი. შეკითხვის მიღების საფუძველს ვერა ჰპოვებს. თვით ავტორნი არ არიან სამინისტროს უკანონობაში დარწმუნებულნი, და მხოლოდ ეჭვში არიანო. სიმართლე არ არის, ვითომც სახელმძღვანელოში გამოტოვებული ყოფილიყოს სამშობლო ისტორიის ის ფურცლები, რომელთაც მამულიშვილური და სიამაყის გრძნობის გაღვივება შეეძლოთ. მოლაპარაკეს მოჰყავს სახელმძღვანელოს სხვა და სხვა ადგილებში, რაც შემკითხველთა აზრის წინააღმდეგს ამტკიცებს. მარტო კირსანოვის ერობამ სცნო წიგნი უვარგისად, ეს შეკითხვის მისაღებ საბუთად ვერ გამოდგება.

გოვორუხა-ოტროკი. საქმე მარტო ეს სახელმძღვანელო არ არის, არამედ სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის მთელი მოქმედებაო. მოლაპარაკის აზრით პირველდაწყებითი სწავლისთვის არა მარტო ცხოვრების და ბუნების ფაქტები, არამედ ილიუზიებიც არის საჭირო. ულიუზიოდ ვერ იარსებებ დიდებული რუსის ერი, უიმისოდ დიდებული რუსეთი დაემხობაო.

სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი **ტაუბე.** წიგნში წერილები ფრიად ტენდენციურია. სამეცნიერო კომიტეტმა იგი არ მოიწონა 1911 წელს, როდესაც სამინისტრომ შეამჩნია, რომ იგი ხმარებაშია, განკარგულება გასცა სკოლებიდან განედევნათ.

ოლდენბურგი. სახელმძღვანელოს შემდგენლებს ვერ უსაყვედურებთ პატრიოტიზმის უქონლობას და ანტიმილიტარიზმს. არ შეიძლება იმის აღიარება, რომ სკოლაში ადგილი არა აქვთ ჩვენი ისტორიის ბნელ მხარეებსო. მოლაპარაკე აღნიშნავს, რომ სახელმძღვანელოში საკმაოდ არის გაშუქებული ჩვენი წარსულის მხარეები.

თავ. გალიცინ-მურავლინი. სახელმძღვანელო „ნოვი“ არ შეეფერება სახელმწიფო სკოლათა მიზანს.

გურკო იცავს შეკითხვას.

საბჭომ ხმის უმრავლესობით მიიღო შეკითხვა. შემდეგი სხდომა 13 მარტს.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **მეფის მოადგილის ავადმყოფობის გამო.** ქალაქის სასკოლო საბჭოს დადგენილებით დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე, სახალხო სახლში პარაკლისს გადაიხდიან მეფის მოადგილის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის განკურნებისათვის. პარაკლისს დაესწრებიან ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნი და საქალაქო სკოლების მოსწავლენი.

◆ მეფის მოადგილის შვილებმა და ნათესავებმა, რომელნიც ტფილისში ახლა ჩამოვიდნენ, 6 მარტს დაწვრილებით დაათვალიერეს ანჩისხატის ტაძარი და მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატის წინ პარაკლისი გადაახდევინეს.

◆ **გ. დ. ჟურული,** ქალაქის გამგეობის წევრი, გუშინ პეტერბურგიდან ტფილისს დაბრუნდა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, საბჭოს წინადადება მისცეს უახლოეს კრებაზე დამატებით შეიტანოს ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში 7000 მ., რომელიც საჭიროა ჯარების ბინის ქირის გასასტუმრებლად.

◆ ქალაქის სასალახოს მოსამსახურედ ნამყოფი **ნესტორ ცერცვაძე ქალაქის გამგეობას უჩივის** ქალაქის საბჭოსთან, გამგეობამ კუთვნილი შეწევნა არ მომცაო. საჩივარს ქალაქის საბჭო 11 მარტს განიხილავს.

◆ **ვაკეს დაგეგმვის პროექტი** ქალაქის გამგეობამ უკვე დაასრულა. საბჭოს კრებას განსახილველად 11 მარტს წარუდგენს.

◆ ქალაქის თვითმმართველობას ამ ჟამად გადაუხდელი აქვს ერთი მილიონი მანეთი—**ჯარის შესანახი გადასახადი.** თავის დროზე გადაუხდელობისათვის ადევს ჯარიმაც. ახლა, როგორც გავიგეთ, მინისტრები და სახელმწიფო კანტროლიორი მომხრე არიან იმისა, რომ ჯარიმა ქალაქს სრულიად ეპატიოს უმაღლეს მანიფესტის ძალით, ხოლო დანარჩენი ფული 20 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად გადაახდევინოს.

◆ ქალაქის გამგეობა შეუდგა საგანგებო მოხსენებათა შედგენას ქალაქის **თვითმმართველობის კანტროლის რეორგანიზაციისა და საქალაქო მიწების ექსპლუატაციის** შესახებ. მოხსენებათა შედგენას იმ ვარაუდით დაასრულებს, რომ ქალაქის საბჭოს განსახილველად წარუდგინოს ამ თვის დამლევს.

◆ **მეხილეობის საზოგადოების** ცნობით გორის მაზრაში მეხილეობას უკვე სამრეწველო ხასიათი მიუღია, განსაკუთრებით უკანასკნელ 5—6 წლის განმავლობაში. სამრეწველო მეხილეობის რაიონი ამ ჟამად 900 ოთხკუთხს ვერ.ს შეადგენს. მეხილეობაში იქ ყველაზე მეტი ადგილი უჭირავს ვაშლს (80 %), შემდ ატამს, მსხალს, ქლიავს, ბალს, ალ

საზოგადოებრივი ჭანგები

დავ. კლდიაშვილის თხზულებებში

(შემდეგი *)

ერთად-ერთი მწერალია ჩვენს ლიტერატურაში ბ. კლდიაშვილი, რომელსაც ასე ზედ მიწევნით შეუსწავლია ჩვენი ხალხის ფსიხოლოგია ცრუმორწმუნოების, კუდიანობა-მავნეულობის ზეგავლენით შემუშავებული. ეს მრავალ-გვარი გზა-აბნეულობა პირდაპირ საბედისწერო ძალად გადაქცეულა ასეთს ცრუ-მორწმუნეთათვის. მას სავსებით დაუმონავებია ხალხის გრძნობა-გონება; მხოლოდ იშვიათად თუ შეხვდებით მის წინააღმდეგ სუსტ პროტესტს და აქაიქ ვითომ მის უარ-ყოფასაც ახალგაზდობის მხრივ, მაგრამ ვერც ესენი განთავისუფლებულან საბოლოოდ მისი სასტიკი ბჭყალებისაგან. კლდიაშვილმა ორი მოთხრობა მიუძღვნა საკუთრად ხალხის ცხოვრების ამ მხარეს, ხოლო „ქამუშაძის გაჭირვება“-ში იგი ჩართული აქვს როგორც ერთი მცირე ეპიზოდი. ესენია **„მსხვერპლი“** და **„მიქელა“**. ეს მოთხრობა-ამბავი სრულებით უყურადღებოდ არის დატოვებული ჩვენი კრიტიკის მიერ, თუმცა მათაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ხალხის სულიერ-გონებრივ განვითარების მაჩვენებელს, აგრეთვე მითაც, რომ იქ ახსნილია ცრუ-მორწმუნოების წარმომშობი მიზეზები. ეკონომიურად დაბეჩავებულ და ტრადიციულად უმეცრებაში აღზრდილი იმერელი გლეხის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს მისი სულის მეუფეს, მისი სულის ბატონ-პატრონს—მის რწმენას. ხშირად მხოლოდ იგი აძლევს მიმართულებას გლეხის აზროვნებას და მთელს მის მოქმედებასაც. ხალხის რწმენით განყენებული ბოროტება ხანდახან ისევ ადამიანში დაიბუდებს ხოლმე და ისიც სხვა და სხვა სახით ევლინება თავის მსხვერპლს. ასეთ ადამიანებს „კუდიანებს“ უწოდებენ. კუდიანთა წინააღმდეგ ბრძოლა, მისი აზრით, უნაყოფოა, რადგან ნაძალევად, ფარულად ნახმარი საშუალება მაზედ სრულებით არ მოქმედობს და ნაცხადევად კი მათზე გალაშქრება ვერავის გაუბედნია. ეს კუდიანები მათ წინააღუდგ ბოროტ-განზრახვასაც კი მიხვდებიან ხოლმე და შეუბრალებლობით მიაქვთ იერიში თავიანთ მსხვერპლზე. ხალხს თავისებურად წარმოუდგენია მავნე-კუდიანი ადამიანები; ამ მხრივ მისი დაავადმყოფებული ფანტაზია განსაკუთრებულს თვისებებს აწერს მათ და გარეგნულადაც ჩვეულებრივი ადამიანებისგან არჩევს. ხშირად კუდიანობას მოხუც დედაკაცებს აწერენ ხოლმე, თუმცა არა იშვიათად შეხვდებით ამავე როლში ახალგაზრდა ქალებს და აგრეთვე ხანში შესულ მამაკაცებსაც. ასეთი დედაკაცთაგანნი არიან ხალხის მიერ გაკუდიანებული მოხუცი ფეფენა და მისი ახალგაზრდა რძალი მარინე, მოთხრობა **„მსხვერპლი“**-ს უმთავრესი მომქმედნი პირნი. ფეფენა თავისი შეხედულებით შიშსა და ნაძალადევ პატივისცემა-მორიდებას უღვიძებდა მისდამი ყველა მის მნახველს. იგი წარმოსადეგი, მაღალი ტანის დედაკაცი იყო, თითქმის მუდამ ჯოხით ხელში. „ფეფენას მოხვეულ შალქვეშ, რომლის ერთი ყურით ყბა ჰქონდა ამოკრული, უჩნდა მხოლოდ ცხვირი და მკაცრად გამომზირალი თვალები. ამ ცოტათი წელში გახრილ დედაკაცში რაღაც ძალა იყო დამალული, ამას გრძნობდა ყოველი ადამიანი მის დანახვისთანავე; მისი შეხედულობა გაგრძნობინებდათო, რომ იგი სხვა დედაკაცებს არ წაგავდა, რომ მასში სულ სხვანაირი ხასიათი იყო დაფარული; მისი კუშტი გამოხედულობა სხვანაირად მოქმედობდა ყველაზე, ვინც მას მიუახლოვდებოდა. ამას ზედ ერთვოდა მისი განმარტოებულად ყოფნა, მეზობლებთან მიუკარებლობა,—**ყველა ეს იყო მიზეზი, რომ სოფლად კუდიანობას ეწამებოდენ,** ყველას მისი ეშინოდა და ყველა მას ერიდებოდა“-ო.

ასე გვიხატავს კლდიაშვილი ფეფენას და ასე ხსნის ხალხის თვალში მის „კუდიანობას“. ნამდვილად კი, რასაკვირველია, კუდიანობის მხრივ ფეფენას არავითარი მავნეულობა და ბოროტ-მოქმედება არ შეეძლო ხალხისათვის. „ფეფენა ყმაწვილი ქალი დაქვრივდა და გაშოუცდელს ოჯახი დააწვა კისერზე“... „მეზობლებს ჩამოვრჩი—ჩემს საქმეს უვდები და **ზოგიერთ ჭკუა-თხელს გონია ვითომ მე ადამიანი მძულდეს და იმიტომ არ ვეკარებოდე არავის!..** მარა სხვის უგუნურ სიტყვას არ ავყოლივარ ჩემს დღეში“-ო, ეუბნება იგი თავის მაზლს ონისიმეს (ხაზი ჩემია). ასეთი ადამიანი ყოველთვის ღირსია პატივის ცემისა, დაფასებისა და სიყვარულისაც კი ყოველ რიგიან და შეგნებულ ადამიანისაგან. მას სრულებითაც არ დაუმსახურებია მავნე ადამიანის, „კუდიანის“ სახელი, მაგრამ „ჭკუა-თხელ და უგუნურ“ ადამიანთა წრეში მეტი რა სიკეთე უნდა ენახა საწყალ-საბრალო დედაკაცს! „ამდენის ტანჯვა-წვალებით შენახულ ოჯახს რომ ვინმემ თავს ლაფი დამისხას, ქვეყნის სასაცილოდ გამხადოს—ფეფენა მის სისხლს დალევს, მის სისხლს დალევს ფეფენა“-ო,—მრისხანებით წარმოსთქვამს იგი. ფეფენას არ მოსწონს თავისი ახალგაზრდა რძლის საქციელი, სიცოცხლით სავსე მარინეს ყოფაქცევა. „ვის გაუგონია გათხოვილი ქალის კისკისი, დაუთავებელი სიმღერა, ცეკვა-თამაში, როგორც მან (მარინემ) იცის?“ ამბობს ყოველ ხალისს მოკლებული და მუდამ ოჯახზე მზრუნავი ფეფენა თავის რძლის შესახებ:—გაგონილა ისე თამამად, მოურიდებლად, თავისუფლად ლაპარაკი, მან რომ კაცებთან ლაპარაკი იცის? რას გავს, რავა შეჰფერის ქმრიან ქალს, მან რომ მოკაზმვა-მიპრანჭვა იცის? ეს გახრეკილი აზნაურიშვილიც რო შემომითრია სახლში!.. ალბად იმედს აძლევს, იმედს!.. ამ უნამუსოს კი უხარია, რასაკვირველია უხარია რომ აზნოუშვილი უკან დამდევსო“. ეს „გახრეკილი აზნოუშვილი“ გახლდათ დავით კარუგდელაძე, რომელიც მართლაც ასდევნებოდა მარინეს და მუდამ შემთხვევას ეძებდა დასაახლოვებლად. ფეფენა ეხლავე შეეცადა ოჯახისა და რძლისათვის სირცხვილი და უნამუსობა თავიდან აეცილებინა. მან მოურიდებლად დაითხოვა აზნაური კარუგდელაძე და რძალიც დასტუქსა, შემდეგში თვალითაც არ დანახვებოდა უსაქმურს დავითს, რომლისაგანაც ფეფენა არაფერ სიკეთეს არ მოელოდა. მარინემ მოხუც, თვითნება დედამთილის აზრს და მის მოთხოვნილებებს სრულებით ვერ შეუთანხმა თავისი საკუთარი არსების დამოუკიდებლობა.

ფეფენასა და მარინეს შორის დიდი უსიამოვნება და უთანხმოება დამყარდა. „მეზობლობაში რძალ-დედამთილის უცნაურ გადაკიდებას და ყოველგვარ უთანხმოებას იმითი ხსნიდნენ, რომ ფეფენას არ შეეძლო ეგუებინა თავის მახლობლად იმისთანა ქალი, რომელიც მის კუდიანობის მონაწილე არ გახდებოდა და იგი ვითომც ცდილობდა, ყოველ ღონეს ხმარობდა, არა საშუალებას არზოგავდა, ოღონდ კი მარინე თავისი ხელ-ქვეითი გაეხადა, გაეკუდიანებინა. ეს ყველას უტყუარ საბუთად, ჭეშმარიტებად მიაჩნდა და როცა ფეფენას ოჯახში წინანდელი უთანხმოების ამბავი აღარ ისმოდა მეტად, ყველამ დაამტკიცა, რომ ფეფენამ თავის საწადელს მიაღწია, მარინე დაიმორჩილა და კუდიანობაში გარია“-ო,—განმარტავს კლდიაშვილი. ნამდვილი მიზეზის გაგება რომ არ შეეძლოთ თავიანთ უგუნურების გამო, რაღა საკვირველია, რომ სოფლელები ასე მსჯელობდენ. მარინე სრულებით გამოიცვალა. „მნახველები მარინეს ვეღარ სცნობილობდენ... ადარივისი ნახვა, შეხვედრა ძას აღარ ეხალისებოდა წინანდებურად. საწყალს ყველაზე გული გაუტყდა; ვისზედაც მეტი იმედი ჰქონდა, ონისიმემაც, ვერ დაიფარა იგი ფეფენას ხელისაგან; მას გადახდა ყოვლივე თავისი და ახლა აღარავინ ესაჭიროებოდა მომხმარედ; აშკარად დაინახა, რომ ფეფენას წინააღმდეგი ვერავინ გამოჩნდა, რომ ფეფენა ყველაზე ძლიერი ყოფილა, რომ მასთან ბრძოლა ამაო იქნებოდა და დაემორჩილა, ეყმო სულიან-ხორციანად. მისი მაყურებელნი კი **ამნაირ მის მდგომარეობას მის გაკუდიანებას აწერდენ“-ო.**

როგორც ხედავთ, აქ თვით ავტორი გვაძლევს შესაფერ განმარტებ ამიტომ მე ძლიერ ცოტა დამრჩე სათქმელი. ჩემი როლი აქ თითქ მოთხრობის მოკლე შინაარსის გა მოცემით უნდა განსაზღვრო. ხალხის რწმენით, მავნე კუდიანები აუცილებელ უბედურებას მიაყენებენ ადამიანებს, თუ იმათ რითიმე დაიმსახურეს „კუდიანის“ რისხვა. კუდიანებს დიდ ძალას აწერს სოფლის უვიცი ხალხი. მარინესაც ასეთს კუდიანებში რაცხდენ. „ამა და ამ კაცს მთლად საქონლი ავად გაუხდაო, ამას წვრილფეხობა აღარ ეზრდებაო, ამას ეს ცუდი საქმე შეემთხვაო და ეჭვი მარინეზე მიჰქონდათ“-ო,—გვეუბნება კლდიაშვილი. ბოლოსა და ბოლოს „მარინე ნამდვილ კუდიანა იყო ცნობილი“. ხალხის რწმენი კუდიანი კაცსაც „ახდენს“ თუ ამოიჩემა და მისი კეთილცხოვრე შეეხარბა, შეშურდა.

მარინეს „გაკუდიანების“ ამბავს ონისიმე თავის მშობლებს შეატყო-

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 839.

ბალს, ქერამს და სხვას. 1912 წელს ხილის მოსავალი ცუდი ყოფილა ნაგვიანევ ყინვების გამო. ვაშლის მოსავალი ყოფილა საშუალოზე დაბალი და მსხლისა—სულ მცირე. ატამი ზოგან სულ მცირე მოსულა, ზოგან სულ არა. რადგან ხილის მრეწველობა ამ ჟამად თითქმის სულ ჩარჩ-ვაჭრების ხელშია, ამიტომ 1912 წელს აღძრულა საკითხი მეხილეთა ამხანაგობის დარსების თაობაზე, მაგრამ აზრი ვერ განუხორციელებიათ. ამ ჟამად გორის მაზრის მეხილეობის უახლოეს საჭიროებას შეადგენს ხილის წამლების საწყობის დაარსება და ხილის ბაღებისთვის მუშების მომზადება.

◆ 5 მარტს, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (ავჭალისა) მიმავალ ტრამვაის ვაგონიდან გადმოხტა საზღვაო სკოლის მოსწავლე **მიხეილ ტულბა**, 17 წლისა და ქვაფენილსა და ვაგონშუა მოჰყვა. ვაგონის თვალმა მუხლზე გადაუარა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაისტუმრეს, სადაც საღამოს 7 საათზე დაშავებული ფეხი მოსჭრეს.

◆ როგორც გადმოგვცეს ბ-ნ **გრიგოლ ყიფშიძეს** უკვე დაუმთავრებია ვრცელი **ბიოგრაფია ილია ჭავჭავაძისა**, რომელიც გედევანიშვილის გამოცემაში მოთავსდება. ბიოგრაფია 100-ზე მეტს დაბეჭდილ გვერდს უდრის, თურმე. ბ-ნ ყიფშიძეს განუზრახავს ეს ბიოგრაფია საჯაროდ წაიკითხოს სახალხო სახლში და ქართულ თეატრში.

◆ **პოლიტეხნიკუმი.** გ. დ. ჟურული საგანგებოდ რიგაში ყოფილა პეტერბურგიდან და გაუცვნია იქაურ პოლიტეხნიკუმის საქმეები. განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია პოლიტეხნიკუმის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებისათვის, რომლის კარგად დაყენებასაც ტფილისის პოლიტეხნიკუმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ბ-ნი ჟურული გასცნობია აგრეთვე იქაურ ლომბარდის საქმეებსაც, რადგანაც განზრახულია ტფ. ლომბარდის რეორგანიზაცია.

◆ ქალაქის გამგეობამ პირობა შეჰკრა რამდენიმე ფირმასთან, რომელმაც თვით-მმართველობის ნივთიერ განყოფილებას საჭირო ნივთები უნდა აძლიოს. ნივთების საწყობი ამ დღეებში გაიხსნება.

◆ ამას წინად ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულმა საგანგებო კომისიამ უკვე დაასრულა **წესიერ დასვენების** ახალ სავალდებულო დადგენილებათა დამატებით მუხლების პროექტი და ქალაქის გამგეობას გადასცა საბჭოს კრებისთვის წარსადგენად.

◆ მსახიობი გ. გედევანოვი ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის აღმზრდელად დაინიშნა.

◆ კვირას, 10 მარტს, **ექიმი ვ. მუსხელიშვილი** ზუბალაშვილის სახლში წაიკითხავს **ლექციას** თვალების შესახებ.

◆ **ხაზინას ქალაქისა დიდი ფული მართებს**, რომლის აღებასაც არა ეშველარა. ვალი, სხვათა შორის, არის სხვა და სხვა სახაზინო დაწესებულებაზე (დასაფასებელი გადასახადი). თავის დროზე ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა ეს ფული ქალაქს ჩქარა მიეცეს. როგორც ახლა გამოირკვა, შუამდგომლობას მოკლე ხანში განიხილავს მინისტრთა საბჭო, რომელიც ჯერ-ჯერობით იმას არკვევს, რისა რა ერგება ტფილისს.

◆ **ქალაქის მეფარნეთა ბედი**, რიცხვით 13 კაცისა, ჯერ კიდევ გამოურკვეველია. ისინი სამსახურიდან დაითხოვეს მეფარნეთა შტატის გაუქმების გამო. გამგეობამ დაადგინა, წინადადება მისცეს ქალაქის საბჭოს, რათა მეფარნეთ ერთდროული დახმარება აღმოუჩინოს.

◆ ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა ცნობილი რუსი **მწერალი სერგეი იაბლონოვსკი**, რომელიც წაიკითხავს ლექციას „თავის მოკვლაზე“.

◆ 6 მარტს, კვირაცხოვლის ეკლესიის მახლობლად, მატარებელქვეშ მოჰყვა ჯარის-კაცი გრიგ. კონსტან. გაზი, რომელსაც **მატარებელმა თავი მოსწყვიტა**. მისი გვამი სარკინის-გზო ლაზარეთში გაგზავნეს.

◆ 6 მარტს, ბელანტი ძიხ. ზაბილოვი ვერის ხიდიდან **მტკვარში გადავარდა**, იგი დახრჩობას გადაარჩინეს და მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ 6 მარტს, პოლიციის სხვა-და-სხვა უბანში 20 უპასპორტო შეიპყრეს.

◆ **შინაურ ფრინველთა ხოლერის** გაჩენის გამო გორის მაზრაში გაგზავნილი ინსტრუქტორი ფ. ტროფიმოვი ტფილისში დაბრუნდა. მისი სიტყვით, გორის მაზრაში ფრინველთა სენი, რომელიც იანვარსა და თებერვლის პირველ რიცხვებში მძვინვარებდა, ამ ჟამად აღარ არის. სენს მხოლოდ ერთს სოფელ კასპში უმსხვერპლია 900 სული ქათამი, ინდაური, ბატი და სხვ. როგორც სოფლელთა გამოკითხვით გამოირკვა, ეს სენი აგერ მესამე წელიწადია, რაც მეორდება, თუმცა წინად წლევანდელისთანა ზარალი არ მოუტანია. ბ-ნ ტროფიმოვის აზრით ხოლერით დახოცილი ფრინველი შეიძლება სულ ადვილად მოხვდეს ბაზარში გასასყიდად, რადგანაც ხოლერა უცებ ჰკლავს და არც ფერსა და არც წონას არ უკარგავს.

◆ მაისში კიევში გაიხსნება სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო, საქარხნო-საფაბრიკო, სავაჭრო-სამრეწველო და სამეცნიერო-სამხატვრო **გამოფენა**, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ტფილისის მრავალი საზოგადოება.

◆ **მერძეობა.** სოფ. ნიკიტანის (გუმბრის მაზრა) მერძევეთა არტელს შეუდგენია არტელის სამაგალითო წესდება და უმაღლეს მთავრობას წარმოუდგინა დასამტკიცებლად. არტელს, სხვათა შორის, ერბოს ქარხანაც მოუწყვია.

◆ **სასულიერო უწყებაში.** საეპარქიო მისიონერს ა. პლატონოვს რუსთა გადმოსახლების სამმართველოში მოხსენება შეაქვს. ა. პლატონოვი მოხსენებაში აღნიშნავს, რომ გადმოსახლებულ რუსთა-შორის სარწმუნოება ძალიან დაეცა და ხშირად სხვა სარწმუნოებას იღებენ. ამის მიზეზად ასახელებს იმას, რომ გადმოსახლებულ რუსებს სამმართველო მიწებს აძლევს, კარმიდამოს მოწყობის საშუალებას ანიჭებს, მაგრამ უეკლესიოდ და უმღვდლოდ სტოვებსო. ამის გამო ა. პლატონოვი სამმართველოს ურჩევს, რუსებს გადმოსახლებისათანავე ეკლესიაც დაუარსოს.

ალექსანდრე ნეველის ეკლესიის (ალექსანდრეს ბაღი) კრებულის შემწეობით 1912 წლის განმავლობაში მართლ-მადიდებლობა მიუღია: 2 „სტაროობრიადეც“-ს, 1 კათოლიკეს, 1 ლიუტერანს, 1 ბაპტისტს, 1 სომეხ-გრიგორიანს, 3 ებრაელს და 1 მაჰმადიანს.

ტფ. კუკიის სასაფლაოს სამზრუნველომ 500 მან. გადასდო გადმოსახლებულ რუსთა მრევლის საჭიროებებისათვის.

მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ დაადგინა, ვანათის ერთ-კლასიანი სკოლა ორ-კლასიანად გადააკეთოს და სკოლა შეინახოს იმ ფულით, რომელიც წინად სალუგარდანის (ჩრდილო ოსეთი) აწ დახურულ სკოლას ეძლეოდა.

აღიძრა საკითხი კავკავის ეპარქიაში მედავითნეთა სკოლის დაარსების თაობაზე.

საქართველოს ეგზარხოსმა სასურველად სცნო, კავკავის ეპარქიის სამღვდელოებას ყოველ-წლიური გადასახადი შეეწეროს ხსენებულ ეპარქიის ღარიბ სასულიერო პირთა სამზრუნველოს სასარგებლოდ. მღვდელმა უნდა იხადოს 3 მან., მთავარდიაკონმა—2 მან., ხოლო მედავითნემ—1 მან.

◆ **მებამბეობა.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო ბიუროს ცნობით, 1912 წელს ბორჩალოს მაზრაში ბამბის მოსავალი კარგი ყოფილა. თვითეულ დესეტინაზე მოსულა 100-120 ფუთი ბამბა, რომელიც ფუთი იყიდებოდა 4 მან.—4 მ. 25 კ. გაწმენდილი ბამბა ფუთი საერთოდ იყიდებოდა 13 მან.

საზოგადოებანი და კრებები

„ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭომ, თანახმად წესდებისა, გაანაწილა ნაწილი იმ წმინდა მოგებისა, რომელიც წარსულ წელს დარჩა კლუბს. მისცეს: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 1.000 მან., გოგებაშვილის სახელობის სკოლის დასაარსებლად—600 მ., ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს—600 მ., ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას—400 მ., საზოგადოება „განათლება“-ს—300 მ., ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებს ღარიბ მსმენელთა გასანთავისუფლებლად—300 მან., მ კახეთის საქსოვ სახელოსნოს—300 მ., ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოებას—200 მ., ქართულ თეატრთან არსებულ დრამატიულ კურსებს—200 მ., სახალხო სახლთან არსებულ დრამატიულ წრეს—200 მ., ტფილისის ციხესთან არსებულ სამზრუნველოს ქალთა განყოფილების კომიტეტს—200 მ., ე. გაბაშვილის სახელოსნო სკოლას—100 მ., თათრების დრამატიულ საზოგადოებას—100 მ., ავლაბრის ქართ. სახალხო წარმოდგ. მმართ. წრეს—100 მ., ხარფუხის ქართ. სახალხო წარმოდგ. მმართ. წრეს—100 მ., „კაპეიკის“ საზოგადოებას—100 მ., ტფილისის საზოგადოება „ბაგ“-ს—100 მ.

◆ 17 მარტს ტფილისში დაიწყება ამიერ-კავკასიის **ბეითალ-ინსპექტორების თათბირი** იმ საკითხების განსახილველად, რომელსაც კავშირი აქვს მესაქონლეობის გაუმჯობესებასთან.

◆ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის** კრება 6 მარტს მოხდა. კომისიამ დაასრულა განხილვა მცირე კომისიის მოხსენებისა ქალაქის სასაკლაოს რევიზიის შესახებ. კომისია მოხსენებას ქალაქის გამგეობას წარუდგენს თავის დასკვნით, რომელიც ჯერ-ჯერობით საიდუმლოებას შეადგენს. გამგეობა მოხსენებას ამ დასკვნით პირდაპირ ქალაქის საბჭოს წარუდგენს.

◆ **კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში.** საზოგადოების 1910 წლის მოქმედების ანგარიში მხოლოდ ამ დღეებში დაიბეჭდა. როგორც საზოგადოების სასტატისტიკო ბიუროს ატყობინებენ თავის კორესპონდენტები, წელს ბორჩალოს მაზრაში ზამთარი თითქმის არა ყოფილა. თოვლი მოსულა მხოლოდ ეხლა, მარტში, რის გამოც ცუდი მოსავალია მოსალოდნელი.

იმავე ბიუროს ატყობინებენ, რომ დასავლეთ საქართველოში სიცივეების გამო მინდვრის მუშაობა ჯერ არ დაუწყვიათ. წინად ბაღებსა და ვენახებში მუშაობა იწყობოდა თებერვლის დამდეგს.

სოფლად.

◆ **ს. ტაბახმელა** (ტფ. მაზრა). კნეინა მელიქოვის თაოსნობით პარაკლისი გადაიხადეს მეფის მოადგილის გრ. ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის განკურნებისათვის.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ მეთაურ წერილში შეცდომით არის დაბეჭდილი: „სოციალ-დემოკრატიული აზროვნებაც ამ თავის საკუთარ წვენში იხარშება და ათასნაირ სახეს იღებს, იმის და მიხედვით, თუ რანაირ **ტემპერამენტისაა** წყალი“—უნდა იყოს: „**ტემპერატურისა**“ და სხვა.

ქართული პრესა

გაზეთი „დილა“-სა და მის თანამოაზრეთათვის ტფილისის გუბერნიის არჩევნები ის ხაფანგია, რომლიდანაც ვერასოდეს თავს ვერ დააძვრენენ. ამიტომ, როდესაც ჩვენ ციფრებით ველაპარაკებით, ისინი ამ ციფრებს გაურბიან და ცარიელი სიტყვით უნდათ ფონს გავიდნენ. აი, ეხლაც გაზეთი „დილა“ ჩაეჭიდება იმ გარემოებას, რომ ჩვენ ხმები გამოვიანგარიშეთ და დავუმტკიცეთ, რომ ამომრჩეველთაგან 6 ხმა სომხის ბურჟუებსა და მსხვილ მემამულეებს ეკუთვნოდა. „დილა“-ს დაავიწყდა, რასაც ამბობდა. იგი გვიმტკიცებდა, ტფილისის არჩევნებში ერთის მხრით მემამულეები იყვნენ, მეორის მხრით კი დემოკრატიაო. მემამულეები ანდრონიკაშვილის მხარეს იყვნენ, დემოკრატია—ჩხეიძისაო. გამოვიანგარიშეთ და აღმოჩნდა, რომ ამ დემოკრატთა სიაში ექვსი პიტალო სომეხი ბურჟუა და მემამულე შედის. მიუხედავად ამისა, „დილა“ მაინც სწერს:

„მას (ე. ი. დემოკრატიის კანდიდატს) ებრძოდა არა ქართველი დემოკრატია, არამედ ქართველი თავად-აზნაურობა, თათრების ბეგები და **ნაწილი სომხის ბურჟუაზიის ვიბორჩიკებისა** (ხაზი ჩვენია)“.

არ ვიცი, ბრძოლას რას ეძახის „დილა“? ბრძოლა ჩვენ ისე გვესმის, რომ სომხის ბურჟუაზიულ ამომრჩეველთა ნაწილს მაინც „დემოკრატიის“ კანდიდატისთვის, კარლო ჩხეიძისთვის, შავი კენჭი უნდა მიეცა. ნამდვილად კი არჩევნებზე სულ 17 სომეხი გამოცხადდა, ერთმა, სახელდობრ, თუმანიშვილმა, კენჭი ანდრონიკაშვილს მისცა, სხვებმა კი, რომელთა შორის 6 ხმა წმინდა ბურჟუაზიულია, ხმები ჩხეიძეს მისცეს. ამას ეძახით ბრძოლას? ეჰ, მაგრამ სიმტყუნე კაცს რას არ ათქმევინებს! „დილა“ გვეუბნება, „სახალხო გაზეთმა“ უკან დაიწია და ეხლა ამბობს, ყველა სომხები კი არ იყვნენ ბურჟუები, მხოლოდ ექვსი იყოვო. არა, ბატონებო! ჩვენ უკან არ დაგვიხევია! ჩვენ მხოლოდ ის აღვნიშნეთ, რომ 6 ხმა ისეთი ბურჟუაზიული ხმაა, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ სიის საკუთრებას არ შეადგენს. ეს ისეთი ხმებია, რომელთა შესახებაც არავითარი ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს. მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ დანარჩენი ხმები ჩვენ „დემოკრატიულ“ ხმებად მიგვაჩნია. დანარჩენი ხმებიდან დემოკრატიულია მხოლოდ **ოთხი** ხმა—მუშათა და გლეხთა კურიების წარმომადგენლებისა. სომხის სხვა ხმები კი პროდუქტია სოციალ-დემოკრატებისა და დაშნაკცაკანების ბლოკისა, რომელიც არჩევნების წინ დაიდო. დასკვნა? სოციალ-დემოკრატების კანდიდატმა კარლო ჩხეიძემ მიიღო: 6 ბურჟუაზიული ხმა სომხებისა, მხოლოდ ოთხი ხმა „დემოკრატიული“, და დანარჩენი ხმები სოციალ-დემოკრატებისა და დაშნაკცაკანების ბლოკისა. თუ ესეც „დემოკრატიის“ გამარჯვებას ნიშნავს, ღმერთმა ნუ მოგიშალოთ წყალობა ასეთი დემოკრატებისა!

ქართ. საისტორიო-საეთნოგრაფ. საზოგადოების

წევრთა კრება

სამშაბათს, 5 მარტს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება მოხდა. კრებას თავმჯდომარეობდა ე. ს. თაყაიშვილი.

ბ-ნმა ა. სვანიძემ წაიკითხა ფრიად საგულისხმო მოხსენება: „**თქმულებანი ამაზონელებისა არგონავტებზე** და მათი ისტორიული სარჩული“.

მოხსენება ორ ნაწილად იყოფოდა. პირველში მომხსენებელი ვრცლად შეეხო ამაზონელებზე არსებულ თქმულებებს. ძველად ამაზონელები სამ ადგილას იხსენიებიან, მაგრამ მათ პირველ სამშობლოდ მცირე აზიის—**თერმოდონტი** უნდა ჩაითვალოსო. რასაც ამოწმებს რამდენიმე უძველესი ისტორიული საბუთი. ამაზონელები ძველად ზღაპრულ არსებებს არ წარმოადგენდნენ; ესენი იყვნენ ხორციელი არსებანი—ქალები, რომელნიც მხოლოდ იმით განირჩეოდნენ, რომ მამაკაცისადმი სიძულვილი მუდამ თან დასდევდათ. შემდეგ მომხსენებელი გადავიდა მათ ყოფა-ცხოვრების აღწერაზე და მოიყვანა სხვა და სხვათა აზრი.

დიოდორის სიტყვით: მთელი მართვა-გამგეობა ქალების ხელშია. ესენი ეწევიან მეომრობას, და ამიტომ სამხედრო სამსახური თავიანთ შორის სავალდებულოდ გაუხდიათ ყველასათვის, რომლის დროსაც ამათ აკრძალული აქვთ მამაკაცებთან სქესობრივი ურთიერთობა. ეს უკანასკნელები აქ ისეთსავე ყოფაში არიან, როგორც სხვაგან ქალები, ე. ი. ეწევიან მეოჯახეობას და ემსახურებიან თავიანთ ცოლებს. არც სამხედრო და არც სხვა რაიმე სამსახურში მათ ადგილი არა აქვთ. ბავშვები დაბადებიდანვე მათ გადაეცემათ ხოლმე აღსაზრდელად და ესენიც რძითა და სხვა საჭმელებით ზრდიან. თუ ბავშვი მდედრობითი სქესისაა, ძუძუებს დაუდაღავენ ხოლმე, რათა არ გაეზარდოს და შვილდ-ისრის ხმარება არ დაუშალოს მას.

სტრაბონის გადმოცემით; კაცი სრულიად არ მოიპოვება მათ საზოგადოებაში და ამაზონელები თითონვე არიგებდნენ ყველაფერს. უმთავრესად მუშაობდნენ მიწას და მისდევდნენ საქონლის მოშენებას, მეტადრე ცხენებისა. უფრო მამაცნი მუდამ ნადირობას და სხვა ამგვარ შექცევაში ატარებდნენ დროს ახალგაზდობიდანვე. დაბადებიდანვე მათ მარჯვენა ძუძუს უდაღავენ, რათა ისარ მშვილდის ხმარება არ დაუშალოს მათ. გადაშენების თავიდან ასაცდენად, ესენი მეზობელ ერის მამაკაცებთან ატარებდნენ ორ-ორ თვეს წელიწადში.

იუსტინეს სიტყვით: დაბადებულ ვაჟებს ესენი ხოცავდნენ; სხვა ძველ მწერლებისაგან კი ზოგიერთნი ამბობენ, რომ ვაჟებს თავის მამებს უგზავნიდნენ; ზოგი კიდევ ამტკიცებს რომ მათ ფიზიკურად ასახიჩრებდნენ, რადგან მათი შემდეგში მეტოქეობისა ეშინოდათო.

(შემდეგი იქნება)

ქუთაისის ავ-კარგი

მგონი არც ერთი ავადმყოფობა ისე არ არის გავრცელებული ქუთაისის გუბერნიაში, როგორც ჭლექი და ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ქუთაისის ინტელიგენცია დაინტერესდებოდა იმ დღით, როცა მოქმედებას იწყებდა ჭლექთან მებრძოლი საზოგადოება.

ნამდვილად-კი ინტელიგენციამ, როგორც სხვა საქმეში, აქაც უკიდურესი გულ-გრილობა გამოიჩინა და დამფუძნებელ კრებაზე თითოოროლას მეტი არავინ სჩანდა; კრებას ექიმებიც-კი აკლდნენ.

ეს, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ჩვენი ინტელიგენციის გულგრილობის ბრალია, მაგრამ კერძოთ ამ საქმეში ბრალი უდევთ საქმის მოთავეებსაც, რომლითაც თავისი მზრუნველობა იქამდის მიეყვანათ, რომ წინდაწინვე დაესახელებინათ გამგეობაში ასარჩევი პირნი და ამით თითქო წევრებად ჩაწერილი ავალებდნენ მათგან დასახელებული პირების არჩევას.

ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ გამგეობაში არჩეულნი ღირსეული ხალხი არ იყოს. ამას მხოლოდ გვინდა ანგარიში გაუწიოთ ლიბერალურად მოლაპარაკე ბატონებს, რომ ჭლექთან მებრძოლ საზოგადოებას მაშინ შეუძლიან მოიტანოს სარგებლობა, როდესაც მის წევრობას ფართო მასსა ისურვებს და არა ის ბიუროკრატიული დემონსტრაციით, რომელიც 3 მარტს მოხდა კლუბის დარბაზში.

გამგეობის წევრებად აირჩიეს: გუბერნატორი სლავოჩინსკი, ექიმები

ბინებს. ესენი „საიქიოდან მოსულ კაცის“, ვასილის დახმარებით მარინეს დიდის წამების შემდეგ „კუდიანობაში გამოტეხენ“. დაჟინებით ითხოვენ მარინესაგან იმის თქმასაც თუ ვინ არის დამნაშავე მის გაკუდიანებაში. რასაკვირველია, თუ მარინეს საქციელი, მთელი მისი ყოფა-ქცევა კუდიანის საქციელად არის ცნობილი მშობლებისა და ხალხის მიერ, მაშინ მისი „გაკუდიანებული“ მხოლოდ და მხოლოდ ავი დედამთილი ფეფენა უნდა იყოს. გაოცებული მარინე ჯერ გაშტერებულია, გონება დაკარგულია, ვერ მიმხვდარა რას ითხოვენ მისაგან, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ხალხის ჯიუტობას ასე ადვილად ვერ დააღწევს თავს, დედამთილს ასახელებს თავის კუდიანობის მიზეზად. ფიზიკურსა და სულიერ ტანჯვისაგან ღონე მიხდილი მარინე ლოგინად ჩავარდა. მარკოზამ ქალიშვილი ქმარსა და დედამთილს მოსტაცა და ონისიმეს სახლში გადაიყვანა. მისი „გამოტეხაც“ აქ მოხდა; ასე რომ ფეფენამ ამის შესახებ არა იცის რა. საყვარელი შვილის უიმედობით გამწარებულმა მარკოზამ მის გამაუბედურებელს ფეფენაზე მიიტანა იერიში.

საბრალო ფეფენას აზრადაც არ მოსვლია თავის თავისათვის ბრალი დაედო რძლის ავადმყოფობაში. „აღარ მოუთმინა გულმა მოხუც დედაკაცს და გადასწყვიტა, ყოველივე ყოფილის (ადრინდელი უსიამოვნების) მიუხედავად გადასულიყო ონისიმესას, რძლის ამბავიც გაეგო და მის მშობლებთანაც მოელაპარაკნა, რომ ასე წართმევა ქალის არავის უნახავს და გაუგონია, მით უფრო, რომ ფეფენა ამ ბოლო დროს სრულიად კმაყოფილი იყო მარინესი. მართლადაც, როცა მარინემ სრულიად გამოიცვალა ხასიათი, მისი სიტყვის გამგონი და დამჯერე შეიქნა, მიივიწყა უწინდელი ცმუტვაცერცეტობა, სულ სახლში იჯდა და მოხუცებულმა ქალმა, მისი აზრით, თავიდან აიცილა თავზე წამოწეული უბედურება—ახლა ფეფენას აღარავითარი განსაცდელის მოლოდინი არ აწუხებდა. მან სრულიად გამოიცვალა გული რძალზე. ამიტომაც იყო, რომ ასე გადაუთქმელად მოინდომა ავადმყოფი მარინეს ნახვა“...

მარკოზაც მოუთმენლად ელოდა მოხერხებულ დროს, რომ ფეფენა ხელში ჩაეგდო და მისთვის დადაღვით ხელი აეღებინებინა კუდიანობაზე. სწორედ ეხლა იდროვა ამ „უგონო“ მარკოზამ, ჩაუკეტა რძლის სანახავად მოსულ ფეფენას კარი, რომ არ გაქცეოდა და გამხეცებულივით მივარდა მოხუცებულს: „რატომ ტანჯავ, რაზე აწვალებ, შე შეჩვენებულო?... აღარ გეყო მაგის წვალება, ვერ გაძეხი?.. შე წყეულო, სული რომ არ წაგაწყმედინე, ხორც რას ერჩი, მითხარი?..“ ფეფენა კი ამ სიტყვებით გაკვირვებული იძახდა: „რეებს ამბობ, შე უგონო, რას სულელობ?—და თან საზარლად ყვიროდა ცემა-მუჯლუგუნით შევიწროებული. ესეც არ ამყოფინა საბრალო დედაბერს მარკოზამ. იმან ბაწრით შეჰკრა მოხუცებული დედაკაცი, მიწაზე დააგდო და ნიშნის მოგებით ეუბნებოდა:

— სად მიდიხარ, სად წამიხვალ, შე კუდიანო?! ახლავე დაგიკარგავ მაგ შენს ძალას!.. ახლავე მოგარჯულებ მე შენ!.. მალე, დედაკაცო!“ უბრძანა ცოლს; და ესმამ გამოჩხრიკა ცეცხლი, გამოიღო საკეცით გავარვარებული ნალი და მარკოზასკენ წამოიღო.

— მამა, მამა!.. რას შობი?.. რას შობი, მამა?.. წამოვარდა ამის დანახვაზე ლოგინიდან მარინე:—მამა, შენი ჭირიმე... მე მომკალი, მე!.. ნუ შობი მაგას!.. დედა, იქთ!—დაიწივლა მან და ესმას ხელიდან გააგდებინა საკეცეც და ნალიც.

— ახლავე მორჩები, შვილო! გვაკალი! წამოიძახა ესმამ.

— მამა, რატომ მკლავ, რატომ მკლავ შენ!—და ღონე-მიხდილი კისერზე ჩამოეკიდა მარკოზას.

— მაცალე, გეუბნები! მაცალე!—გაჯავრებით მიმართა მარკოზამ:—დაუდაღავი რავა გადამირჩება მაგ!—მარკოზამ გაინთავისუფლა თავი მარინესაგან, რომელიც „მიწას ცაასკდა მძიმედ“, აიღო საკეცით გახურებული ნალი და ფეფენას დასჭყივლა:

— „ხედავ ამას, ხედავ!.. აი შენი რჯული, შენი რჯული!—და გამხეცებულმა მარკოზამ გახურებული რკინა თეძოზედ მიადო ფეფენას“.

აურზაურსა და ყვირილზე თავმოყრილმა გლეხებმა კარი შეამტვრიეს და სახლში შეცვივდნენ, ცოცხალმკვდარ ფეფენას მოაშორეს მარკოზა, მოხსნეს მას ბაწარი და გაიყვანეს ჰაერზე. საბრალო მარინე ამასობაში წუთი სოფელსაც გამოესალმებოდა, რომელსაც თავს დასჩხაოდა გამწარებული დედა. მარკოზამ საყვარელი შვილის უსულო გვამი გულში ჩაიხუტა და თან გულსაკლავად გაიძახოდა:

— „შვილო! შვილო მარინე!.. მარინე, შენი ჭირიმე! ვაიმე, ვაიმე, ვაიმე!—და მარკოზა ამასთანავე გაცივებულ პირის-სახეს უკოცნიდა მკვდარს“-ო ათავებს ავტორი.

ასეთი გულშემზარავი სურათი დაგვიხატა ბ. კლდიაშვილმა „მსხვერპლში“ და ღრმად ჩაგვახედა ჩვენი ხალხის სიბნელის მორევში, რომელიც ასე საჭიროებს და მოელის კიდეც მის გაშუქებას ცხოველმყოფელი განათლების სხივთა საშუალებით—ვისაც არ უნახავს, ან არ გაუგონია იმის მსგავსი რამ, რაც „მსხვერპლშია“ აწერილი, მისთვის ძნელია ამ საოცარი ამბის დაჯერება, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, რომ იგი დღესაც ამოუფხვრელია დასავლეთ საქართველოში, საერთოდ, და იმერეთში განსაკუთრებით. მრავალნაირ მკითხაობა-მარჩიელობაზე ხომ აღარა ითქმის-რა. ამ სამწუხარო სენს, სულის შემხუთავსა და გონების დამაბნელებელს ცრუ-მორწმუნეობას ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები ქართველი ხალხის ცხოვრებაში და დიდს როლსაც თამაშობდა იგი მის მდგომარეობის ავ-კარგიანობაში. ხალხს კიდევა სწამს ხვედრის აუცილებლობა; იგი დღესაც გაიძახის „ბედს ვერ წაუხვალო“. „რაც ადამიანს უწერია, ვინ ააცდენს თავის წერას“-ო.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს ასეთ „მორწმუნეთა“ რიცხვი ჩვენში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ამ ოცი-ოცდა ხუთი წლის წინეთ იყო, როცა ეს მოთხრობა იწერებოდა. რასაკვირველია, ამის მიზეზი არის სწავლა-განათლების შემოღება და გავრცელება სოფლებში, გონებრივი განვითარება და საზოგადოდ კულტურული ცხოვრების თანდათანი გაფართოვება. სამაგიეროდ სრულებით არ უნდა მოიპოვებოდნენ მეორე გვარის „მორწმუნენი“, რომელნიც თავიანთი მსოფლ-მხედველობიდან გამომდინარე უგუნური ყოფა-ქცევით დღევანდელ კულტურულ ადამიანს პირდაპირ განაცვიფრებენ.

ბ. კლდიაშვილის მოხუც მიქელას შესახებ მოგახსენებთ. „მიქელა“ დაახლოვებით ამ ათი წლის წინად დაიბეჭდა. ჩვენი ბელეტრისტი მოგვითხრობს მას როგორც ნამდვილ „ამბავს“. ძლიერ სამწუხაროა ასეთი ამბის მოსმენა, მაგრამ რას იზამ, ხელს ვერ დააფარებ იმ სამარცხვინო მოვლენას, რომლის მსგავსიც არა ერთხელ მომხდარა ცხოვრებაში. თითქმის ამავე დროს დაიბეჭდა ბ. ივ. გომართელის „ქოხში“-ც.*) მასაც ნამდვილი ცხოვრებიდან აღებული ფაქტი უდევს საფუძვლად, როგორც თვით ავტორი გადმოგვცემს. ამ ორი ნაწარმოების შინაარსი ძლიერ უახლოვდება ერთმანეთს: აქაც და იქაც ადამიანს ამოქმედებს „ამოწყვეტის შიში“ და ჩაადენინებს უმზგავს ბოროტებას. მაგრამ რადგან ჩემს მიზანს არ შეადგენს ამ ნაწარმოებთა შედარება და მათი ნათესაობის განხილვა, ისევ „მიქელას“ დაუბრუნდები.

(შემდეგი იქნება)

გ. ქუმბურიძე.

---

*) იხილე 905 წლ. „ივერიის ბიბლიოთეკა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ხეჩინოვი, გაბ. გოკიელოვი ვლერ. ლორთქიფანიძე, გიორ. ქორქაშვილი და კ. ტყეშელაშვილი და ქ-ნი ოკიმოჩისა და ავ. მოსიძისა.

* * *

ქუთაისის გიმნაზიის დარბაზში რამდენიმე კრება მოხდა ქუთაისის პედაგოგთა, რომელთაც განუზრახავთ ქუთაისში პედაგოგიური საზოგადოების დაარსება. წესდება უკვე შემუშავებულია და 13 მარტს უკანასკნელად განიხილავს მას პედაგოგთა კრება, შემდეგ დასამტკიცებლად გაიგზავნება.

* * *

განუწყვეტელი თოვლისა და წვიმების შემდეგ, ქუთაისში 4 მარტს, ძლივს კარგი ამინდი დაიჭირა.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

6 მარტი.

საბერძნეთის მეფის მოკვლა.

ათინა. მეფისწული ნიკოლოზი დეპეშით იტყობინება, რომ საბერძნეთის მეფე შეიქმნა ბოროტ-გამზრახველთა მსხვერპლად, იგი ნახევარ საათის შემდეგ გარდაიცვალა. მიღებულია ზომები წესიერების დასაცავად.

მეფის სეირნობის დროს, უკანიდან ორმა კაცმა ესროლა მეფეს რევოლვერი; ერთი მათგანი — ალექსანდრე სხინასი, სულით ავადმყოფი ყოფილა. ლადოხი ეპირიდან დაბრუნდება. საღამოთი დედოფალი სალონიკში მივიდა.

სალონიკი. მეფე მოკლა ბერძენმა ალექსანდრე სხინასმა. პირველ სროლის შემდეგ შტალმეისტერმა, რომელიც მეფეს ახლდა სტაცა ბოროტ-გამზრახველს ხელი და შეუშალა სროლის გაგრძელება. მაგრამ პირველმა ტყვიამ სასიკვდილოდ დასჭრა მეფე. საავადმყოფოში წაყვანის დროს, მეფე გზაში მიიცვალა. ტყვია მხრის ქვეშ მოხვდა ზურგში, და მუცელში გაუარა.

სალონიკის მცხოვრებნი, რომელთა შორის მეფემ დიდი სიყვარული დაიმსახურა, ღრმად არიან შეწუხებულნი და თვის დიად მწუხარებას და სამძიმარს გამოსთქვამენ.

სალონიკი. მეფისწულმა ნიკოლოზმა შეჰყარა ოფიცრები ახალ მეფის ერთგულებაზე ფიცის მისაღებად. ქალაქში მშვიდობიანობაა.

ათინა. დედოფალი შუაღამისას სალონიკში წავიდა.

სხინასი 40 წლისაა, მოკვლის მიზეზს არ ასახელებს. ოფიცერი შეეკითხა, როგორ არ შეიბრალე ქვეყანაო; სხინასმა უპასუხა, სოციალისტი ვარო. სხინასი სრულიად დამშვიდებულია.

სალონიკი. რევოლვერი, რომლითაც მეფე იქნა მოკლული, შვიდი წვრილი ტყვიით იყო გატენილი. მკვლელი ადგილობრივ შეიპყრეს.

ათინა. მნახველთა სიტყვით, მკვლელი შეიპყრეს კრიტის ჟანდარმებმა, რომელნიც მეფეს უკან მისდევდნენ. მეფე საწვრილმანო დუქნისწინ დაეცა; მედუქნემ პირველმა აღმოუჩინა მეფეს დახმარება. მეფემ ერთი სიტყვაც ვერა სთქვა. ქვაფენილზე ერთი წვეთი სისხლიც არ დარჩენილა. ჯარის-კაცებმა ხელით სამკურნალოში წაასვენეს. მკვლელს აღმოაჩნდა უბის წიგნი, რევოლვერი და პატრონები. მკვლელი საზღვარ-გარედ სცხოვრობდა, სალონიკში ქალაქის აღების შემდეგ მისულა. პოლიტიკოსთა წრეში იგი ანარხისტად არის ცნობილი.

სალონიკი. მეფისწულმა ნიკოლოზმა ამცნო ხალხს კონსტანტინეს ტახტზე ასვლა.

ათინა. ათინის სააგენტო იუწყება, რომ ყველა გაზეთი წერილებს ათავსებს მოკლულ მეფის თაობაზე. მეფეს იხსენიებენ ხალხისთვის საყვარლად და ბრძნად. მეფის სიკვდილი საეროვნო უბედურებაა, სწერენ გაზეთები. დედოფალმა შეიტყო თუ არა მეფის სიკვდილი — ქვითინი მორთო და გრძნობა დაჰკარგა. ხალხს არ უნდა ირწმუნოს სამწუხარო ამბავი. სახელმწიფოში გამოცხადებულია ექვსი თვის მგლოვიარობა, სასახლეში ერთი წლით.

სტამბოლი. ნაპირებზე შეგროვილია ბულგართა შესამჩნევი ძალნი, რათა ოსმალთა გემები შორ მანძილზე გააჩერონ.

ბელგრადი. გადაიხადეს საგანგებო პარაკლისი საბერძნეთის მეფის სულის მოსახსენებლად.

სოფია. დანევმა დეპეშით სამძიმარი გამოუცხადა საბერძნეთის დეპუტატთა პალატის პრეზიდენტს და ხალხის წარმომადგენლებს.

სტამბოლი. ჩათალჯის ყველა პოზიციებზე გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

6 მარტი.

პეტერბურგი. მოვიდა ბულგარეთის გმირი გენერალ სადკო დიმიტრიევი.

ლონდონი. გაზეთები ჰბეჭდენ წერილებს საბერძნეთის მოკლულ მეფის თაობაზე. ღრმად აღშფოთებას გამოსთქვამენ მოკვლის გამო.

ლონდონი. ელჩთა თათბირი მოხდა.

გაზეთებიდან.

ზავის მოლოდინში.

„რეიტერის სააგენტოს“ გაუგია, რომ ელჩთა ლონდონის კონფერენცია შესდგომია მოკავშირეთა სამშვიდობო პირობების განხილვას. თუმცა მათ მიერ წარმოდგენილი მოთხოვნილებანი გადაჭარბებულად მიაჩნიათ, მაგრამ მაინც იმედი აქვთ, რომ შესაძლებელია მოლაპარაკების დაწყებაო. სახელმწიფოები მისცემენ მოკავშირეებს ისეთ რჩევას ზოგიერთ მუხლების შესახებ, რომელიც უკეთეს ნიადაგს შექმნის ზავის მალე ჩამოსაგდებად.

გერმანიის პრესის აზრი.

მოკავშირეთა მიერ წარდგენილს, სამშვიდობო პირობებს გერმანული პრესა მტრულად შეხვდა.

„ბერლინ. ტაგებლატი“ სწერს: „ევროპამ იცის, რომ მოკავშირენი დასუსტდნენ. მათ აღარ შეუძლიათ ომის განგრძობა. დაიღალა თვით ევროპაც. პირობები, რომელნიც მათ წარადგინეს, ნაყოფია უმწვერვალესი თავხედობისა. თუ მოკავშირენი დათმობის გზას არ დაადგებიან, ევროპა ძალას მიჰმართავს მათ დასამორჩილებლად“.

„ფრანკფურტ. ცეიტუნგი“ მოკავშირეთა პირობებს ახალ აყალმაყალად სთვლის და აღნიშნავს, რომ დიდმა სახელმწიფოებმა, ამ გარემოების მოლოდინში, წინ-და-წინვე შეიმუშავეს სამერმისო მოქმედების გეგმაო.

ავსტრია-ჰუნგრეთში.

ავსტრიის პრესაც გადაჭარბებულად და უსამართლოდ სთვლის მოკავშირეთა მიერ შემუშავებულს საზავო პირობებს.

„ნეიე ფრ. პრესე“ ამბობს: „ბულგარეთის ჯარი თუმცა სან-სტეფანოს არ მისდგომია, მაგრამ ბულგარეთი მიუხედავად ამისა მაინც მეტს მოითხოვს, ვიდრე რუსეთი 1877 წელსაო“.

„ნეიე ვინერ ჟურნალი“ სწერს: „მოკავშირეთა მოთხოვნილებანი უფრო ევროპის დამამცირებელია, ვიდრე ოსმალეთისა. მხოლოდ იმ მოსაზრებამ დაბადა ასეთი პირობების წარმოდგენა, რომ მოკავშირეები უძლურად სთვლიან ევროპის დიპლომატიას“.

ათონი და ბერძენი ბერები.

ათონის ბერძენ ბერების დეპუტაციამ, რომელიც ამჟამად ათინაში იმყოფება, დიდი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებსა და ელჩთა ლონდონის კონფერენციას ტელეგრაფით შემდეგი შინაარსის საპროტესტო მოხსენება გაუგზავნა ათონის ავტონომიის წინააღმდეგ:

„ათონის ბერძნული მონასტრების წინამძღოლებმა შეიტყეს, რომ მართლმადიდებელ სახელმწიფოებს განუზრახავთ ათონის მთის მართველობის მოწესრიგება და ამ მიზნით უკვე ახალი წესდებაც შეუმუშავებიათ. ამ ამბავმა დაამწუხრა ათონის ბერძნულ 17 მონასტრის ყველა ბერ-მონაზონი. ასეთი ცვლილება საწინააღმდეგო იქნებოდა საეკლესიო ჩვეულების, წეს-რიგისა და საბერ-მონაზონო დაწესებულებათა ათონზე, რომელთაც დღემდე იცავდნენ ყოველნი მპყრობელნი და მათ შორის ოსმალებიც. ასეთი ცვლილება ძირიანად გარდაჰქმნიდა ბერთა ცხოვრებას ათონზე და არ შეესაბამებოდა დღესაც მომქმედ ანდერძს მონასტრების დამაარსებელთა და ბიზანტიის იმპერატორთა, რომელნიც თვით მსოფლიო პატრიარქსაც კი არ აძლევდნენ ათონის შინაურ საქმეებში ჩარევის უფლებას. ამგვარი ცვლილებით სრულიად დაირღვეოდა ბერძენთა ეროვნების უპირატესი უფლება, რომელიც 3.000 წელზე მეტია, რაც ათონის მთაზე ბატონობს, მაგრამ ამასთანავე არ ხჩაგრავს სხვა ერის უფლებას, რასაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ ბერძნებმა ნებაყოფლობით დაუთმეს სამი მონასტერი რუსებს, სერბიელებსა და ბულგარელებს; აგრეთვე რამდენიმე წვრილი დაწესებულება სხვა მართლმადიდებელ ერთა წარმომადგენლებსაც. ასეთი ცვლილება, დასასრულ, დაარღვევდა სარწმუნოებრივსა და ნაციონალურ უფლებას იმ 17 ბერძნული მონასტრისას, რომელნიც მათში მოღვაწე ბერ-მონაზონებთან ერთად აღფრთოვანებული არიან მხოლოდ ერთი მისწრაფებით — რათა იხილონ ათონის მთა მის სამშობლო-საბერძნეთთან საბოლოოდ შეერთებული. იმედი გვაქვს, ყურადღებას მიაქცევთ ამ ჩვენს პროტესტს და წინააღუდგებით ათონის საერთაშორისო ადგილად გამოცხადებას, რაც დამრღვევი იქნებოდა ათონის ბერძენთა მონასტრების ინტერესებისა და აგრეთვე თვით ევროპისა, რომელიც პირველი აგებს პასუხს მის მიერვე ჩადენილ შეცდომისათვის“.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

6 მარტი.

საზღვარ-გარედ

ლიონი. გარდაიცვალა გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი გენერალი ანდრე.

პარიზი. პუანკარემ შეიწყნარა კაბინეტის გადადგომა, მაგრამ დაავალა მიმდინარე საქმეთა გამგეობის გაგრძელება.

მუკდენი. ჩჟანსულიანომ პეკინიდან ბრძანება გასცა, მანჯურიაში მოაწყონ ოთხი დივიზია.

მუკდენი. ფულის ბირჟის საქმეთა მოსაგვარებლად აკრძალულია მანჯურიიდან ვერცხლის გაზიდვა.

რუსეთი.

პეტერბურგი. გაზეთი „რუსკაია მოლვა“ 500 მანეთით დააჯარიმეს.

პეტერბურგი. საზღვარ-გარედ გაემგზავრა საფრანგეთის ელჩად ნამყოფი ლუი. სადგურზე გააცილეს გარეშე საქმეთა მინისტრმა და დიპლომატთა კორპუსმა.

უცხოეთი

საფრანგეთი.

სასკოლო საკითხი და პალატა.

ამას წინად მოყვანილი გვქონდა საფრანგეთის სასკოლო კანონ-პროექტების შინაარსი. კანონ-პროექტები კლერიკალების წინააღმდეგ არის მიმართული. ამიტომაც არის, რომ მან მწვავე კამათი გამოიწვია პალატაში. კანონ-პროექტის დასაცავად, და ამასთანავე საერო სკოლის გადასარჩენად კლერიკალიზმის გამხრწნელ გავლენისაგან, გაილაშქრეს რადიკალებმა და სოციალისტებმა. მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ მემარჯვენენი და პროგრესისტები. ამ ბოლო დროს კლერიკალებმა ფრიად გააძლიერეს დევნა საერო სკოლებზე. ბანდიტების პროცესი საკმაო მასალას აძლევდა მათ ქადაგებისთვის საერო სკოლის წინააღმდეგ; ისინი ამტკიცებდნენ, რომ საერო სკოლა მხოლოდ ბონოს, გარნიესა და მათ მსგავსსა ზრდისო. სოფლის მასწავლებელნი ამ ბოლო დროს მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. რადგანაც მათს წინააღმდეგ კლერიკალები ხალხს ამხედრებენ. ერთ სოფელში მასწავლებელს ესროლეს კიდეც, და დღევანდლამდე ბოროტ-გამზრახველი ვერ აღმოუჩენიათ.

კლერიკალიზმის მოწინააღმდეგეთ საჭიროდ მიიჩნიეს სკოლის მონოპოლიზაცია. პალატა განიხილავს აგრეთვე რადიკალ ბრარის პროექტს, რომლითაც იმ კომუნებში, სადაც 3,000 მცხოვრებზე მეტი ირიცხება, კერძო სასწავლებლების გახსნა განათლების სამინისტროს ნება დაურთველად აკრძალულია. უნდა ითქვას, რომ არც მონოპოლიის საკითხი, არც ბრარის პროექტი პალატაში არ გავა, რადგანაც მის წინააღმდეგ არის მთავრობა, ნაწილი რადიკალებისა და სოციალისტებისა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

საქველმოქმედო წარმოდგენა. დღეს, 8 მარტს, ქართულ თეატრში, სარკინის-გზო 6 კლასიან სამოქალაქო სასწავლებლის სამზრუნველოს ქონების გასაძლიერებლად, გაიმართება სამუსიკო-სალიტერატურო საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: კნ. ციციშვილი-ანდრონიკაშვილისა, მ. კ. ტრასევიჩი, ქ-ნ ბაბალოვისა, ზავრიევი და სხვანი.

ზუბალაშვილის სახალხო სახლი.

ა. წუწუნავას ბენეფისი. ოთხშაბათს, 6 მარტს, კ. ი. ზუბალაშვილის სახალხო სახლში, ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ, რეჟისსორის ა. წუწუნავას საბენეფისოდ წარმოადგინეს: 1) ტრ. რამიშვილის 2 მოქმედებიანი პიესა „შეშლილები“, 2) ვ. ირეთელის „სოფლის გმირები“-ს უკანასკნელი მოქმედება „სადგური“ და 3) ბანკოს აჩრდილისა „რომელი ერთი“.

ბ-ნ რამიშვილს იმდენად შეუსწავლია სულით ავადმყოფთა ზნე-ჩვეულებანი, ყოფა-ცხოვრება, რომ პიესაში ყოველი წვრილმანი გათვალისწინებულია და პიესა მხატვრულ შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე. „განწირულთა“ ცხოვრება საზოგადოების უმეტესობისათვის ფარულია და აი ამ მხრივ პიესა მნიშვნელოვანია. რეჟისურას პიესაში უმთავრესი ადგილი უჭირავს. და როგორც ეტყობა ბ. წუწუნავას დიდი ენერგია და შრომა დაუხარჯავს, რომ სცენის მოყვარულთა ძალებით ასეთი ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენა შესძლო. შეშლილების საუცხოვო ტიპები შექმნეს: მ. ქიაურელმა (ტიგრან), ს. რომანიშვილმა (სილვა) და სხვა.

საუცხოვოდ არის დადგმული „სოფლის გმირების“ უკანასკნელი სცენა. მაყურებელს თვალ-წინ წარმოუდგება პროვინციალური რკინის-გზის სადგური; რეალიზმი უმწვერვალეს წერტილამდე არის მიყვანილი.

„რომელი ერთი“ მშვენიერი მხატვრული ნაწარმოები აღმოჩნდა. პიესაში ავტორი ეხება იმ აზრს, თუ ქალს უფრო მეტს უპირატესობას აძლევს თუ საყვარელს არსებას. შეუდარებელ ტანჯვას განიცდის ქალი, რომელსაც ქმრის წინადადებით უნდა აირჩიოს ერთ-ერთი: ან შვილი ან საყვარელი. მასში ორი არსება იწყებს ბრძოლას: ქალი და დედა. მისი ქმარი კი წინადადებას აძლევს, გადასწყვიტოს ეს პრობლემა სანამ თორმეტამდე დასთვლიდეს. აუწერელია ტანჯვა ქალისა და მოუთმენლობა მაყურებლებისა, მაგრამ ამ დროს ელექტრონი ჩაჰქრება, შექნება აურ-ზაური, სირბილი და ყვირილი. რეჟისორი განაცხადებს, რომ ეს პრობლემა ავტორს არ გადაუწყვეტია და მსახიობებიც ვერ გადასწყვეტენო.

ბ. წუწუნავას ბენეფისს შეიძლება სახალხო წარმოდგენების სექციის დღესასწაული დავარქვათ. დარბაზი ინტელიგენციით იყო გაჭედილი და ის ოვაციები და აუარებელი ძვირფასი საჩუქარი, რომელიც მობენეფისემ მიიღო, თავდებია იმისი, რომ სამი წლის დაუღალავმა მუშაობამ ბ. ნ. წუწუნავას ფუჭად არ ჩაუარა. გუშინდელმა წარმოდგენამაც ნათლად დაგვანახვა, თუ რა შეუძლიან ერთსულოვანებას და საქმის სიყვარულს. ძნელი სათქმელია რომელი სცენის მოყვარე უკეთ თამაშობდა. სამაგიეროდ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ საერთო ანსამბლი და მისგან დატოვებული მხატვრული შთაბეჭდილება საუცხოვო იყო.

ვულოცავთ ბ-ნ წუწუნავას გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდეგაც ასეთსავე ენერგიას.

ქუთაისი. შესდგა ქართ. მსახიობთა ამხანაგობა, რომელიც გამართავს რამდენიმე წარმოდგენას: დ. ქიათურაში 22 და 23 მარტს, ბათუმში 25 და 26 მარტს, ფოთში 28 და 29 მარტს. რეპერტუარი: **„მარგარიტა გოტიე“**, **„ნაპოლეონ და ჟოზეფინა“**. უმთავრეს როლებს შეასრულებენ ქ-ნი ნუცა ჩხეიძე, მარო მდივანი, ალ. იმედაშვილი და გ. არადელი-იშხნელი. პიესებს დასდგამს რეჟისორი მ. ქორელი. დასის რწმუნებულად მიწვეულია ვ. ურუშაძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

განცხადებანი

№ 4711
სქელი პუდრი
კანს ხავერდისავით ანაზებს და ალამაზებს
ფერად. მიულგენსი
კოლონფი 30 კაპ. ✦ პარფიუმერია № 4711
მისი იმპერატ. უდიდ. სასახლის იჯარადარი.



Метцль 529935 529954
1021.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. 6 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8/7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4/3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6/5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისკენ: სახ. № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ, **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 8/7, საღ. 5 ს. 28 წ

ყარსიდან: სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9/10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში: სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.**, № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п შუადღ. 1 ს. 5 წ. **სახ.** № 7 п, საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 г ნაშ. ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 43 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასსა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლ. №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლ. მატარებლის ნომრები 3 და 4.

თესლეულობა
საუკეთესო ხარისხისა, ნაცადია, არაოდეს არ მოსცდება, ხახვის ღივი, ხენდრო, მცენარეთა ნერგები, ადრეული კარტოფილი. ფასები სინდისიერია.
ს. მ. კოველის თესლეულობის დეპო
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, № 27. 1087

ახლად გაიხსნა
საშობიარო თავშესაფარი,
ე. ლ. არშანინისა და ს. ს. ხატიევისა
ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაჟი და ყვავილის აცრა, საბებიო საქმე და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღება და აგრეთვე ძიძათა შემოწმება ყოველ-დღე სწარმოებს დილის 11—12 საათამდე. თავშესაფარის გამგე
ექიმი ა. გ. ავეტისოვი.
ვაგზლის ქუჩა № 12, ბინა 3. 101

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.
ა. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. ვ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვი უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი ბ. ა. ნ ნავასარდიანი.

—✦ გამოსულია და იყიდება ✦—
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

სამკურნალო გოგირდის აბანო „ფანტაზია“,
ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე ახლად შეკეთებული მოწყობილება ყოველ მხრივ და წესიერად.
კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29% და 35%, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.
1674 კნ. სუმბათოვებისა

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა
თევზის მრეწველნი
ძმ. ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131
გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (კეტკა), ორაგული, თარო ტარალანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზი
მოხარშული დოში, ზურგიელ
და ყოველგვარი
✦ შავი ხიზილალა

ტფილისი მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.